№ 58. მარტის 16, შაბათი. 1866—1885 მარტის 16, შაბათი. № 58

„დროება“-ს რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.
ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. «Дроэба»
ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ. —1 მ.
ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე [illegible] 8 კაპ.; პირველზე 16 კაპ. სრული [illegible] დი 25 მანათი; პირველი 50 [illegible] ზისა იქვლება მათგან დაჭერილის ადგილის კვალობაზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს დაუმოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент., конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6

## საթეატრო განცხადება

ამ წლის მარტის 31 იდამ, მაისის 1-ლამდის და ამავე წლის ოქტომბრის პირველიდამ 1886 წლის აღებამდის ქართული დრამატიული დასი დაიწყებს წარმოდგენების გამართვას. ამის გამო დასის გამგეობა **მოიწვევს**, როგორც **ძველს არტისტებს** აგრეთვე დასში **ახლად** შემოსვლის მსურველთა,—წარუდგინონ თავიანთი პირობანი დასის საქმეთა გამგეს.

(6 – 1) საქმეთა გამგე გ. აბაშიძე.

## ერთი კვირა უცხოეთში

თბილისი, მარტის 16-ს

ცეცხლი და თოფის-წამალი როდესაც ახლო არიან ერთმანეთთან, აფეთქება მოსალოდნელია; მაგრამ ძნელი გადასაწყვეტი კია, თუ ნამდვილად როდის მოხდება. ეს იმაზედ არის დამოკიდებული, ქარი საიდამ დაჰბერავს და ცეცხლის ალს თოფის-წამლისკენ მიიტანს, თუ სხვა მხრივ გაუხსნის გზასა. სწორედ ამ გვარსავე მდგომარეობაშია ავღანის საქმე და მოსალოდნელი შეტაკება ორის ძლიერის სახელმწიფოს შორის. მთელი ქვეყანა სულ-განაბული უგდებს ყურს ავღანის სამზღვრებზედ მომხდარს და მოსალოდნელ ამბებს და იქიდან, ან ლონდონიდან მოსულს ტელეგრამებს გაფაციცებით ჰკითხულობს.

თუმცა როგორლაც მიყუჩდა ის განხეთქილება, რომელიც რუსის ჯარისაგან პენჯეს და სხვა პუნქტების დაჭერამ გამოიწვია; თუმცა ოფიციალური «ჟურნალ-დე-სან-პეტერბურგი» ირწმუნება, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდებაო, მაგრამ ამის გადაწყვეტით თქმა მარტის გასულამდე ადვილი არ არის. მარტის გასულს ინდოეთის ვიცე-კოროლმა უნდა ნახოს ინდოეთისავე სამზღვარზედ ავღანის ემირი და თუ ვიცე-კოროლის მჭევრმეტყველებამ დაიყოლია ემირი და დაარწმუნა, რომ ავღანის დამოუკიდებლობა დამყარებულია ინგლისთან სრულის კავშირის ჩამოგდებაზედ,—მაშინ, უეჭველია, ისედაც წათამამებული ინგლისი უფრო წათამამდება და უფრო მეტს მოითხოვს თავის მოწინაამდეგისაგან. მაგრამ ინგლისს ვიცე-კოროლისა და ემირის შეყრამდე არა სძინავს და სცდილობს ყველგან ევროპაში მოკავშირენი იშოვოს, ყველასთან კეთილი განწყობილება ჩამოაგდოს. პირველში კარგა ცხარე შეტაკება გერმანიასთან ინგლისისათვის სასურველად დაბოლოვდა და მშვიდობის ჩამოგდება იმით განმტკიცდა, რომ მეგობრობის გამოსაცხადებლად ჯერ ინგლისში გაიგზავნა ჰერბერტ ბისმარკი და მასუკან თვით ინგლისის ტახტის მემკვიდრე უელსის პრინცი სხვა პრინცებითურთ მივიდა გერმანიაში ამ კავშირის დამკვიდრებისათვის. გერმანიის გარდა, ინგლისი მეგობრულად ეწყობა, როგორც იტალიასთან, ისე საფრანგეთთან და, უეჭველია, ოსმალეთთანაც ამის შესახებ მოლაპარაკება ექნება. მეგობრების შოვნის გარდა, იგი ცდილობს აგრეთვე ჯარების მომატებას და ინდოეთის მთავრობასაც ებძანა „საყოველ-შემთხვევოდ“ 72,000 ათასი ჯარის კაცი მოამზადოს თავის არტილერიით...

მეგობრული კავშირის შეკვრამ სახელმწიფოებთან და სამხედრის შედგომამ ისეთი რიხი მისცა ინგლისის გაზეთებს, რომ იგინი სრულიად დაუმალავად ამბობენ თავიანთ გულისპასუხს და ემუქრებიან კიდეც ინგლისის მოპირდაპირეს „შენ ვერ გაჰბედავ მარტო გერმანიის კანცლერის შიშით ერთი ნაბიჯის წინ წადგმასაცაო“.

***

ვიდრე ინგლისისა და რუსეთის შორის ესეთი ცხარე მოლაპარაკებაა, გერმანიის კანცლერი ცდილობს ამ არეულობით ისარგებლოს, მოცილეთ შუა ჩაუდგეს, მორიგების მაგივრად წასჩხუბოს და ამ შეტაკების დროს ცალკე გერმანიას მოათბობინოს ხელი, ცალკე შინაურ მოპირდაპირეებზედ იმით იმოქმედოს, რომ დაანახვოს, თუ როგორ საჭიროა იგი გერმანიის ერთობისა და გაძლიერებისათვის მეტადრე მაშინ, როცა საქმე გარეშე პოლიტიკას შეეხება. მართლაც და სწორედ ამ გარეშე არეულობის დროს ბისმარკმა შესძლო თავის მოპირდაპირეების დამარცხება პარლამენტში და თუმცა, როგორც ცენტრის პარტია, ისე პარტია თავისუფალ-მოაზრეთა ამისი წინაამდეგი იყო, მაინც პარლამენტს ოთხი მილიონი კრედიტი გამოსთხოვა ოკეანეებზედ ნავოსნობის გამმართველ საზოგადოებათა დასახმარებლად; ოთხი მილიონი გამოსთხოვა იმავე პარლამენტს, რომელმაც ამას წინად რაღაც ოცი-ათას მარკაზედაც კი უარი უთხრა კანცელიარიის მომატებისათვის.

***

გერმანიის პარლამენტმა თუმცა ქედი დაიხარა მმართებლობის წინაშე და თავისი სიტყვა თვითვე გადასთქვა, მაგრამ საფრანგეთის პარლამენტი თავის პროგრამაზედ მტკიცედ დადგომასა ჩჩევობს და დაუცხრომელად ეომება კლერიკალებს და სამღვდელოებას. საუკეთესო საომარი იარაღი მის ხელშია; ამ იარაღსა ჰქვიან ფული და მართლაც ყოველ წლის დასასრულს პალატამ უნდა განიხილოს სახელმწიფოს ბიუჯეტი, ანუ შემოსავალ-გასავალი და მის ხელთ არის რომელს დაწესებულებას მოუსპოს სახარჯო და რომელს მოუმატოს. წარსული წლის გასულს პალატამ ძალზედ შეამცირა სამინისტროსაგან წარმოდგენილი ბიუჯეტი, განსაკუთრებით ის მუხლები, რომელნიც სამღვდელოებასა და მისგან შენახულს სასწავლებლებს შეეხებოდენ. სენატმა ისევ ჩაუმატა ეს ხარჯები, პალატამ ხელახლად შეამცირა და კინაღამ ამ ორის დაწესებულების შორის განხეთქილება ასტყდა, სამინისტროს რომ არ დაეშოშმინებინა სენატი და არ დაეჯერებინა, რომ ეხლა განხეთქილების დრო არ იყო. ამ გვარად, თუმცა ბოლოს პალატამ გაიმარჯვა, მაგრამ მთელი სამი თვის განმავლობაში ...

## სამეგრელო გუშინ *)

### VII

დაღესტანში ქოლიუბიაკინის სამსახურის დროს ეკუთვნის ერთი საყურადღებო ეპიზოდი, რომელზედაც არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არა ვსთქვათ.

გენერალ-ადიუტანტი გრაფი ანრეპი, ერთს დროს დერპტის სტუდენტი, იყო კაცი ღრმად განათლებული და კაცობრიობის მოყვარული, მსახურობდა კავკასიაში და არ ღალატობდა თავის სტუდენტურს იდეალებს; მას უბედურებად და ბოროტებად მიაჩნდა ომი და იმ აზრისა იყო, რომ ორი ხალხის შორის მოხდენილი უთანხმოება ყოველთვის შეიძლებოდა მოლაპარაკებით გათავებულიყო. იგი დარწმუნებული იყო, რომ ომიანობის ნაცვლად ჩვენ რომ მთებში მისიონერად წავიდეთ, ყოველივე უთანხმოება მოისპობაო და მოურიგებელი ხალხები ჩამოვლენ ბარში არა ისე, როგორც მტრები, არამედ როგორც ჩვენი უმცროსი ძმებიო. ეს აზრი მეგობრულად ბაასობის დროს უთხრა ახალგაზდა ქოლიუბიაკინს, რომელსაც ძალიან მოეწონა. ორივენი ისე დარწმუნებულნი იყვნენ ამ აზრის სიკეთესა და სარგებლობაზედ, რომ გადასწყვიტეს სიტყვა საქმედ დროით გადაექციათ. დაღესტნის უფროსმა გენერალ-ადიუტანტმა ანრეპმა და მისმა ადიუტანტმა ქოლიუბიაკინმა ლეკური ტანისამოსი ჩაიცვეს და ლეკურის ენის მცოდნე თარჯიმანით წავიდენ ზაქათლიდამ ანწუხის საზოგადოებასთან, რომელიც მდებარეობდა ჩრდილოეთ დაღესტნის მაღალს და მთიანს ადგილებში. მათი განზრახვა ზაქათალაში არავინ იცოდა და ყველას ისე ეგონა, რომ სანადიროდ წავიდნენო. საშინლად გაჰკვირდენ ანწუხელები, როდესაც დაინახეს თავიანთან უიარაღოდ მისული სამი მგზავრი. თარჯიმანმა შეატყობინა მათ, რომ ესენი უბრალო კაცები არ არიანო და მათს ჯამაათთან, ესე იგი მამასახლისების და მოხუცებულების კრებასთან მოლაპარაკება სურთო. ჯამაათი შეიკრიბა და ანრეპმა შემდეგი სიტყვები უთხრა მას: „რად გვეომებით ჩვენ ასე საშინლად? ჩვენ თქვენი მტრები კი არა, დაახლოვებული მეგობრები ვართ. ჩვენ გვინდა თქვენში შემოვიტანოთ განათლება, რომელიც თქვენ გაგაბედნიერებთ. თქვენ ეხლა ღარიბნი ხართ, ჩვენ გაგამდიდრებთ თქვენ და გასწავლით ამ სოფლის კეთილდღეობის მოპოებას; ჩვენ თქვენ გზებს გაგიკეთებთ, სკოლებს გაგიხსნით, სადაც თქვენი შვილები სასარგებლო ხელობას ისწავლიან თავიანთ თავის საბედნიეროდ. როდესაც განათლებით ამაღლდებით, მაშინ გაუწყებთ თქვენ თუ როგორ ისარგებლოთ იმ ბუნებითი სიმდიდრით, რომლითაც უხვად არიან შემკულნი კავკასიის მთა და ველნი. თქვენც დაჰყარეთ იარაღი და ჩვენც დავყრით, ომის მაგივრად ერთმანეთთან დავმეგობრდეთ და მშვიდობიანად ვიცხოვროთ“.

ჯამაათმა ყურადღებით მოისმინა ეს სიტყვები და ჰკითხა ორატორს, ვინ არიან იგინი და ვისის სახელით ლაპარაკობენ? მაშინ ანრეპმა უთხრა თავის ვინაობა. ჯამაათი თუ წინად გაკვირვებული იყო, ეხლა სრულიად დაჰკარგა მათდამი რწმუნება.

— «როგორ, შენ, გენერალი, რომელიც ხელმწიფის ჯარის სარდალი ხარ, მოდიხარ ჩვენთან და ომიანობას უარსა ჰყოფ? მაშასადამე შენ არამც თუ შენს მოვალეობას ასრულებ, არამედ ისეთი საქმე გიტყვირთია, რომელიც შენ არ შეგშვენის. ყოველივე ეს გვარწმუნებს ჩვენ, რომ თქვენ მოსულხართ აქ ან იმისთვის, რომ სასაცილოდ აგვიგდოთ, ან ჩვენი ადგილები დაზვეროთ და ან ჰკუაზედ შეშლილები ხართ».

ჯამაათმა გაკვირვებით ცქერა დაუწყო მათ და ამ დროს ერთი შემთხვევა მოხდა, რომელმაც ყველანი უფრო ძალიან შეაშფოთა.

*) იხილე „დროება“ № 57.

მაელობაში ბიუჯეტი დაუმტკიცებელი იყო და სამინისტრო ხარჯავდა უბიუჯეტოდ წინადვე აღებულს ერთ-მილიარდს. ესეთმა დაგვიანებამ შეაფიქრიანა საფრანგეთის საზოგადოება და ჟურნალ-გაზეთების შუამავლობით თხოულობს, რომ პალატამ კვლავ მაინც უპირველესი ყურადღება ბიუჯეტს მიაქციოს.

პალატამ დაამტკიცა აგრეთვე წესი დეპუტატების არჩევისა დეპარტამენტების სიებით. ეს ის წესი არის, რომლისათვისაც გამბეტა ცხარედ ჰქადაგებდა, მაგრამ რომლის დამტკიცებაც თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო. დეპარტამენტების სიებით ამორჩევა იმას ნიშნავს, რომ მთელი დეპარტამენტის თემის მცხოვრებნი ირჩევენ დეპუტატებად მთელი დეპარტამენტების მცხოვრებთა შორისვე და არა მარტო თავიანთ მაზრაში. ამით იმედი აქვთ, რომ მოისპობა მაზრებში სხვა-და-სხვა ბობოლაების ამორჩევა, რომელთაც მხოლოდ თავიანთ მახლობლებზედა აქვთ გავლენა ან ფულით, ან სხვა შეძლებით და მთელს დეპარტამენტში პარპაშობას კი ვერ შესძლებენ. ეს ზოგიერთებს საბუთს აძლევს, იმედოვნებდეს, რომ ის პალატა, რომელიც ახალი წესით იქნება ამორჩეული ბევრად უკეთესი წარმომადგენლებისაგან შესდგება და მეტს თანაგრძნობასაც დაიმსახურებს საფრანგეთისას.

## შინაური ქრონიკა

= დღეს, სალამოს გეოგრაფიულს საზოგადოებაში იქნება მსჯელობა მ. ნ. სმირნოვის რეფერატის შესახებ — რა არის ეროვნება, ხალხი და თემი და ქართველნი და სომეხნი შეადგენენ ეროვნებას თუ არა? რეფერანტის ბ-ნი სმირნოვის წინააღმდეგ ილაპარაკებს ლ. ზაგურსკი.

= გაზაფხული დადგა და ადიდებული წყლები მოსპობენ მიმოსვლას ჩვენი სამაზრო ქალაქებისა და დაბა-სოფლების შორის, რომელთაც, ხიდს ვინ დაეძებს, უბრალო ბოგირიც ვერ ღირსებიათ. ამ მხრით გაზაფხულობით ყოველ საქართველოს სხვა კუთხეებზე უარესს მდგომარეობაში სამეგრელო ჩავარდება ხოლმე. სამეგრელოს ჩქარი, გიჟი მდინარენი ცხენის-წყალი, ხობი, ჯუბი და სხვანი, რომლებზედაც სხვა დროს ფეხით, თორემ ცხენით ხომ სულ ადვილად გადადიან მოგზაურნი, გაზაფხულობით ისეთ ნაირად მოვარდებიან, რომ კარგს ბედაურს უჭირს მათში გასვლა და ამ რიგად ამ მდინარეთა გაღმა-გამოღმა მცხოვრებთ უსპობს ერთმანეთში მიმოსვლას ხშირად თვეობით და მეტი დროითაც.

= როგორც ჩვენს გაზეთში დაბეჭდილის განცხადებიდამ სცნობდით, სურათებიან «ვეფხის-ტყაოსნის» გამომცემელმა დაამზადებინა კვიტანციების დავთარი და მიანდო ჩვენს რედაქციას ხელის-მოწერის გამართვა უკვდავის შოთას თხზულებაზე. სურათებიანი «ვეფხის ტყაოსანი», როგორც განცხადებაც გაუწყებდათ, რვიდამ ათ მანათამდე ეღირება, ხარჯის კვალობაზე. ჩვენს საზოგადოებას იქნება ეუცხოვოს ეს ფასი — თუმც ამ ფასად იგი შეიძენს თვისის დიდებულ დროის მწერლობის ძვირფასს საუნჯეს, «ხელის ხელ საგოგმანებელ მარგალიტს»; თუმცა ამ ფასად მას თვალწინ წარმოუდგება სახელ-განთქმულის მხატვრის ზიჩისაგან განცხოველებულნი სურათნი თვისის საყვარლის თინათინის, ასმათის, ტარიელის, ავთანდილის და ამ „მარგალიტის“ სხვა გმირებისა, რომელთაც მოკლეს ხანში გაიცნობს მთელი ევროპაც ფრანცუზულის და ნემეცურის თარგმანების საშუალებით, — იქნება ეუცხოვოს იმიტომ, რომ არ არის დაჩვეული გადიხადოს ასეთი ფასი ერთს წიგნში; და რომ ეს არ მოხდეს აქედამვე მართავს ამ გამოცემაზე ხელის-მოწერას გამომცემელი, რომელსაც 1200 ეგზემპლარის დაბეჭდვა, რაც უნდა ყაირათიანობაც გასწიოს, თითქმის ათი ათას მანათამდე დაუჯდება, როგორც გამოანგარიშებულია. ამ ხელის მოწერის გამართვის წყალობით ყველას ვისაც კი ჰსურს შეძენა სურათებიანის „ვეფხის-ტყაოსნისა“ — და ვინ უარჰყოფს თვისის ლიტერატურის «დიდებას» — შეუძლიან იმ რიგად შეიძინოს იგი, რომ თითქმის ვერც კი გაიგებს: დღეს, ვსთქვათ შემოიტანა მანათი, ან ნაკლები, იმ თვეშიც ამდენი, თუ მეტი, ამდენივე კიდევ იქითა თვეში და გამოცემის შესრულების დღეს, ამ წვრილის გარდასახადით შესრულებული ექმნება სრული ფასი სურათებიანის „ვეფხის-ტყაოსნისა“.

= ქვემოდ მოგვყავს ის დაბები, სოფლები და აგარანი — თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებისა, რომელნიც ამა 1885 წლის განმავალობაში უნდა იქმნენ გამიჯნულნი.

თბილ. გუბ., გორის მაზრაში: აგარა დიდი ხურვალეთი, ქავთისხევი, მჩათი, ხოსტე, ბუდალეთი, მთაწმინდა, ბელლდესი, ურბეთი, ახალქალაქი, სათუხარლო, ბროლოსანი, ულუბბა, ავლევთ, წალევლი, ქინზათი, ახალ-სოფელი, დუმაცხო, დიდი და პატარა ალევი, ძევისი, ვაკა, გომი, აგარა, ოსიაური, ქახის-ჯვარი, ხამური, აჯიბადური, ქაკანათ-ხევი, ბრილი, წაბლოვანი, ქემფერი, წედანი, ოძისი, ცივი-წყარო, ბებნისი, შერთხვა, ზექალა, ზინდისი, იტრია, ჩუმა-თელეთი, ტაშის-კარი, გამოღმა ახალდაბა, ზანავი და ჭალა.

თბილ. მაზრაში: ყარაია, სამშვილდე, მამკოდი, მშრალი-ხევი, ლელუბანი, ზირბითი, წოდორეთი, ბამოჩინებული, აწუვისი, ქრუფა, ავაზანი და ყარაიას უდაბნო. ბორჩალოს მაზრაში: იუხარი-[illegible], ვორონცოვკა, იმირი, შამალი, ყაია-ყაჯალი, სეიდ-ხოჯალი, ახული-მაღმუთლი, დიდი შულავერი, ყარმირკარი, იგოათი, დამია, სიონი (ხუცისოფელი), წონი, მამაი, ახილულიალალი, დამლაში, ქესალი, ნახარლი, ხაში-კეგი, სადღი-ბალდი, დისიხი, ყარინჯი, ალერეკსი, ყოზლუხი, ყემალი, ყარა-ყემალი, სარვანი, ბიულთაფა, დიდი-მულანლო, ბოლნის-ქაფანაკჩი, არათლუ, აშაღა-სარალი და იუხარი-სარალი. სიღნაღის მაზრაში. გაღმა-მხარი და სამხრეთით და ჩრდილოეთით სიღნაღისა. დუშეთის მაზრაში: გრემის-ხევი, ბაზალეთი, ქსოვრისი, არჯაკელა, კოჭობა, ახალგორი და ალევი. თიანეთის მაზრაში: სვიმონიანთ-ხევი, ტოლეჯი, ნადირაანთ-ხევი, ზემო-თიანეთი, ახმეტა, ნაქალაქარი და ბოტკო. თელავის მაზრაში: მილდა, ფშაველი, ალავერდი, აწყური, ახათელი, ჭალაანი, ქალაური, წინანდალი, ქვემო-ხოდაშენი, შუიათუბანი, შაშიანი და ვაჩნაძიანი. ქუთაისის გუბ., ქუთაისის მაზრაში: ქოკი, ნაბოსლევი, სიმონეთი, დიმი, სურნალი, ჭყანეთი, ბუმათი, საწირე, ბაღდათი და სალოჩრია. ოზურგეთის მაზრაში: ჯუმათი, ჩოჩხათი, ბურიამთა და ჩოლოქი. ზუგდიდის მაზრაში: ზუგდიდი, ჯვარი, ხეთა, ხიბულა, ხორგა, ქვალონი, ქორცხა, ცაიში, ბურიფული და დარჩენი. სენაკის მაზრაში: საქორნიო, ჭალა-დიდი, თექლათი, პატარა ჭალა-დიდი, ტურჩუ.

= მოკლეს ხანში «თბილისის კრუჟოკი» გადავა ახალს ქალაქის სახლებში (ადრე შიოევისა).

= გამოვიდა მეორე წიგნი ჟურნალის „ივერიისა“, რომლის შინაარსი შეიცავს: I) ოთხი დღე, მოთხრობა გარშინისა თარგმ. ა. ფრონელისაგან. II) ასული ფარაონისა (ისტორიული რომანი) გეორგ ებერსისა, ნაწილი

---

კოლიუბიაკინთან მოვიდა ერთი ახალ-გაზდა ლეკი და დაუწყო ჩოხიდამ წამლით სავსე მასრების ამოღება. კოლიუბიაკინმა ისე ძილა ჰკრა ლეკს ხელი, რომ იგი გაცოფებული მივარდა მას. ორივენი შეიჭიდნენ და რადგანაც ეს ამბავი თავქვე ადგილს მოხდა, ორივენი ხევში ჩაგორდნენ.

მოხუცებული ლეკები შეწუხდნენ და უბრძანეს ახალ-გაზდა ლეკებს უცხო ქვეყნელი უვნებლად ამოეყვანათ. ეს ბრძანება მალე შესრულდა და კოლიუბიაკინი თავ-პირ-დაკაწრული და ჩოხა შემოგლეჯილი ამოიყვანეს. მაშინ მოხუცებულმა ლეკებმა უთხრეს მოსულებს, რომ, მთის ჩვეულებისამებრ, სტუმრის მიღება უწმინდესი მოვალეობაა კაცისა და მათთვის სამარცხვინო იქნებოდა, თუ მათს საზოგადოებაში უიარაღო კაცებს შეურაცხებას მიაყენებდენ. მათ არ უნდოდათ გაეგოთ ვინ იყვნენ იგინი; მაგრამ რადგანაც საქმიდამ სჩანდა, რომ იგინი კეთილი განზრახვით მისულიყვნენ, არავითარი უსიამოვნება არ მიაყენეს და სთხოვეს უკან დაბრუნებულიყვნენ. სამზღვრამდის მათ გზის მაჩვენებელი კაცები გაადევნეს.

ასე გათავდა გენერლისა და მისი ადიუტანტის საკვირველი განზრახვა. ეს ამბავი მალე მთელს კავკასიაში მოეფინა და, მგონია, ეს უნდა ყოფილიყო ანრეპის გადაყენების მიზეზი.

ეს ეპიზოდი თითქმის დანაშაული იყო სამხედრო კაცისათვის, მაგრამ სასაცილო ანდაზად კი გაკეთდა; მაგრამ თუ ამ ეპიზოდს გონების თვალით გავსინჯავთ — ამ ორი კაცის კაცთ-მოყვარულობას და გამბედაობას დავინახავთ. მათ ორივემ თავიანთი საკუთარი სიცოცხლე დაივიწყეს; ამათმა ქცევამაც კი კავკასიის დამორჩილების საქმე წინ წასწია; აქედამ ნათლადა სჩანდა, რომ ყველას ეს აზრი ჰქონდა: «არაფრის წინაშე არ შევდრკეთ, ოღონდაც კი კავკასიის დამორჩილების საქმე წინ წავიდესო».

ვარანცოვმა, მოვიდა თუ არა იგი კავკასიაში, კოლიუბიაკინი ჭარ-ბელაქნის მაზრის უფროსად დანიშნა, შემდეგ ქუთაისის გუბერნატორად და ორმოც-და-ათი წლების დამდეგს კოლიუბიაკინი შეიქნა უფროსი მე-III განყოფილებისა შავი ზღვის ნაპირებზედ. ეს თანამდებობა, რომელიც სამხედრო გუბერნატორს უდრიდა, ერთი საუკეთესო თანამდებობათაგანი იყო კავკასიაში. კოლიუბიაკინის რეზიდენცია — სოხუმიდამ იწყებოდა ჩვენი სამხედრო მოქმედება წინააღმდეგ ჯიგეტებისა, უბიხებისა და შაპსუღებისა და იმავე დროს დაწყებული იყო მოლაპარაკება აფხაზეთის მთავართან, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა მთებში და რომელიც ყოველთვის ორპირად ექცეოდა რუსეთს.

ჩვენ, როგორცა ვსთქვით, კოლიუბიაკინი ცხარე კაცი იყო და რასაც არა მცირე ხნის განმავალობაში აკეთებდა, იმას შემდეგ ერთს წამში არღვევდა. კოლიუბიაკინი როგორც დიდი ჭკუისა და განათლების პატრონი, სიმართლისა, პატიოსნებისა, და უანგარობის მოყვარული, რასაკვირველია, ბევრს არ უყვარდა. ყოველივე ეს ისე არავისათვის არ იყო სამწუხარო, როგორც იმათთვის, რომელნიც კოლიუბიაკინს დაახლოვებით იცნობდენ და მცნობთა რიცხვში ვარანცოვიც ერია. მისი ძმა, მიხეილ პეტრესძე, ამ დროს თბილისში ვიცე-გუბერნატორად იყო, ყველა პატივსა სცემდა და თავის ძმისაგან გასარჩევად «მშვიდობიანს კოლიუბიაკინს» ეძახდენ; თვით ნიკოლოზ პეტრეს-ძეს კი დიდი ხანია რაც «ავაზარი» დაერქვა. იმის გაბრაზების შესახებ ბევრი ანდაზები დადიოდა; ამბობენ, ვითომც ერთხელ გაჯავრების დროს თავის მოხუცს ჩინოვნიკს მელოტს თავზედ მთელი საწერელი მელანი დაასხა და მერე, ვითომ შეცდომის გასასწორებლად, ერთი შუშა ქიშა დააყარა; პატარა ჩინის დროს ხომ იმდენი დუელები გადახდომოდა, რომ თვითონაც ვერ მოსთვლიდა ხოლმე. ამ გვარი უეცარი მისი აპილპილება ისე მის ქვეშევრდომებს არ აჯავრებდა (იგინი უტე-

პირველი. III) ხალხური ლექსები. IV) თბილისის აღება აღა-მაჰმად-ხანისაგან 1795 წ. (მოთხრობა თვალით მნახველისა) V) ქართული თეატრი პ—სი. VI) ბუზი. (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა. VII (ლექსი) აკ. ცაგარელისა. VIII) შინაური მიმოხილვა. IX) მედიატორეთა განჩინება. X) განმარტებითი წერილი, ი. გოგებაშვილისა.

— ბაქოს ქალაქის თავს მისვლია მრავალი თხოვნა თბილისისა და მდ. ვოლგის ნაპირის ქალაქების ვაჭრებისაგან, რომ მომავალს იარმუკაზედ ამათ თვის ადგილი იყოს მიჩენილი.

ბაქოს საიარმუკო მოედანზე გაშენებული იქმნებაო, სწერს გაზ. „კასპი" საქალაქო ბირჟა.

— ამავე გაზეთის სიტყვით ცხენის-რკინის გზის გაყვანას ბაქოშიაც აპირობენო. ინჟინერს რეტულდის უკვე შეუდგენია პროექტი, რომელსაც ბაქოს საბჭო განიხილავს ამ დღეებში.

— შინაგან საქმეთა და ფინანსის სამინისტრონი დაჰკითხვიან კავკასიის მთავარ მმართებელს იმ საგნის თაობაზედ, თუ 1886 წლიდამ ამიერ-კავკასიის საგუბერნიო და საერო გადასახადთაგან რამდენი ნაწილი შეიძლება გადადებულ იქმნას იმ საქველ-მოქმედო საქმეთათვის, რომელნიც თვის მზრუნველობის ქვეშე მიიღო ხაზინამ; ამასთანავე ამ გადასახადებისაგან უნდა გადიდდეს შემწეობა სახემწიფო ხაზინისათვის.

— ქუთაისში ამ უკანასკნელს დროს ერთობ გახშირდა ხანძრობათა წყება: მარტის 10-ს, ღამით, დაიწვა: სამხედრო გუბერნატორის სამმართველო, ამ შენობაშივე მყოფი სადგური ზემოხსენებული სამმართველოს მმართველისა და ამ სახლებზედვე მიდგმული სახლი ერთის კერძო პირისა. სამმართველოს საქმეები და ქაღალდები, როგორც იყო, გადაარჩინესო; მესამე სახლის პატრონს კი არავითარი ზარალი მისცემია, რადგანაც სახლი დაზღვეული ჰქონდაო. მეორე ღამეს დაიწვა კიდევ ერთი სახლი და მარტის 12-ს ერთიც კიდევ. ამ გახშირებული ცეცხლის მიზეზი ჯერ დაწვრილებით ვერ შეუტყვიათ; მხოლოდ გუბერნატორის სამმართველოს თავზედ უნახავსთ ორი ტიკი ნავთი, რომელთაგან ერთი პოლიციას წაუღია, საქმის გარჩევამდის. („კავკაზი")

# უცხოეთი

## ავღანის საქმენი.

გერმანიის კანცლერის ორგანი: „Nordd. Allg. Zeit"-ი ერთობ გაუცხარებია ფრანცუზულს გაზ. „Soleil"-ში ავღანის საქმეთა შესახებ დაბეჭდილს შენიშვნას, რომლითაც ეს უკანასკნელი გაზეთი, ორლეანების ორგანო, აღელვებსო რუსის ნაციონალურს გრძნობას და ამტკიცებს, რომ გირსმა მხოლოდ იმიტომ უარჰყოს ჰერატის დაპყრობა, რომ გერმანიამ მას იგი აუკრძალაო. გერმანია, ცხადია წინააღმდეგი იქნებოდაო, განაგრძობს ორლეანების ორგანო, ჰერატის რუსეთთან შეერთებისა, რადგან გლადსტონის გადაყენების შემდეგ, მას ჰსურს ტორიის სამინისტროს შეუკავშირდეს რუსეთის საწინააღმდეგოდო. ამ მუჯლობაში, რომელსაც უარ-ჰყოფს ყოველი მცოდნე პოლიტიკოსი, ამბობს თავადის ბისმარკის ორგანო, რამდენიც სიტყვაა იმდენი სიცრუვეა. ჩვენ პირველად გვესმის, რომ ვითომც რუსეთი ჰერატის მითვისებას ფიქრობდეს, მაგრამ ეს აზრი კიდევაც მართალი რომ იყოს, რუსეთს მეტად გაუძნელდებოდა აქ სხვა სახელმწიფოთა თანხმობის ძოპოვება. ვინ არ იცის, რომ საქმე ჰერატს კი არ შეეხება, არამედ თურქმენთათვის საძოვრებს და სამძღვარზედ ავაზაკობის მოსპობას. და რა სასარგებლო იქმნებოდა გერმანიისათვის რომ აეკრძალა ავღანის საზღვრის შესწორება და ამით შეერყია დიდისი გაჭირვებით მოპოვებული კავშირი რუსეთთან. გლადსტონის ვადასაყენებლად არავითარი აზრი არ აღძრულა და გერმანიის პოლიტიკას მისი გადაყენება რომ სდომოდა, მაშინ გრაფ ჰერბერტ ბისმარკს ვერ მიანდობდა ესეთს მძიმე მისსიას. რაში არგებდა გერმანიას ტორიის კაბინეთთან შეკავშირება რუსეთის საწინააღმდეგოდ?

ლონდონში ხმებია გავრცელებული, რომ გერმანიამ განუცხადა რუსეთსა და ინგლისს თავის შუამდგომლობა ავღანის სამძღვრების გაყვანისათვის. ფრანცუზული გაზეთი: „Temps"-ი ამტკიცებს, რომ იმპერატორი ვილჰელმი სცდილობს რუსეთისა და ინგლისის შორის მორიგებას და ამის შესახებ კიდეც მიუწერია რუსეთის იმპერატორისათვის წერილი.

ინგლისურს გაზ: „Observer"-ში მოყვანილია შემდეგნი ცნობანი: რომ, ვინიცობაა, ომი ასტყდეს ინდოეთის ადმინისტრაციას 77 დღის განმავლობაში შეუძლიაო 23,000 მეომარის მოგროვება ჰერატში. ომის ატეხის ბრძანება რომ გამოვიდეს ამ დღიდამ რუსეთს ამ ჯარის წინააღმდეგ შეუძლია გამოიყვანოს 24,000 მეომარიო. ძველი გამოცდილი პოლიტიკოსნი, განაგრძობს გაზეთი, დარწმუნებულნი არიან, რომ ავღანისტანი უეჭველად დამოუკიდებელი უნდა დარჩესო და ამისათვის მიუცილებლად საჭიროა ჰერატს არავინ ეხოს. რუსეთი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიქვემდებარებს ჰერატს, თუ ინგლისს დასძლევს სრულიად. ერთი ფეხიც კიდევ წინ რომ გადიდგას ინგლისის გემები შეცურევენ ბალტიის ზღვაში.

## წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! დიდად ვსწუხვარ, რომ ერთმა ჩვენთან ნამყოფმა მასწავლებელმა ჩვენდამი სიძულვილისაგამო ცილი დამწამა გაზეთის „ახალი მიმოხილვის" საშუალებით. ჩვენ ვითომც, იმის სიტყვებით, თავის თავს მივეცით ნება ურიგოდ მოხსენებისა საქართველოს თავად-აზნაურთა ერთ კორესპონდენციაში ესტონის გაზეთისა „Ота-маа". მე ხშირად პატივცემული ვიყავი იმათგან (თავად-აზნაურებისაგან), როგორც სოფლებში, აგრეთვე ქალაქებში და ამის გამო არასოდეს არ მივცემდი ჩემს თავს ნებას ცუდად მეხსენებინა ისინი. მუდამ თანავუგრძნობდი იმათ, როგორც გულ-კეთილ და თავ-მდაბალ აზნაურებს, რომელთაც ცხოვრებაში შევხვედრივარ. პირ-იქით ვსცდილობდი, როგორც ნემეცურს, ეგრეთვე ესტურ გაზეთებში მაღლა დამეყენებინა ისინი იმათ მრავალ ძველ ნაშთთა გამო. მაგ. გაზეთს „Eoesli Postimees" 1879 წ. № 48, სხვათა შორის მოხსენებულია, რომ თავადი ბაგრატიონ-მუხრანსკი თავის გვარ-ტომობას აწარმოებს ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორისაგან და თ. თუმანიშვილმა რომის ფრანგების საეკლესიო ისტორიაში საქვეყნო სახელი მოიპოვა. ამ სტრიქონებს ვსწერ მხოლოდ თავის გასამართლებლად იმათ წინაშე, რომელთაც შეეძლოთ წაეკითხათ „ახალ მიმოხილვაში" ჩემზედ დაწამებული ცილი შესახებ საქართველოს თავად-აზნაურთა და რომლითაც (ცილის დაწამებით) სურდა დამწერს ჩემი გაშავება.

 რ. რეცოლდი.

მარტის 13 სა დღესა.
ქ. თბილისი.

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი".

მარტის 14 ს.

პეტერბურგი. სკარამანგის ფირმა გაკოტრდა. ამბობენ, რომ პასივი ამ ფირმისა პეტერბურგში $1^1/_2$ მილიონ მანეთამდე ადისო და აქტივი კი სრულიად არ არი-

---

ვებდენ ამ დანაშაულს, რადგანაც ბევრი კარგი თვისება ჰქონდა), როგორც იმისავე უფროსებს. ასეც მოხდა სოხუმში.

ადმირალი სერებრიაკოვი, რომელი უფროსობდა ზღვის ნაპირების ჯარებს და იყო მშვიდი და უწყინარი კაცი, არას დროს არ გამოდიოდა მოთმინებიდამ პირადის სარგებლობის გულისათვის, მაგრამ კოლიუბიაკინის ყოველ დაწყობილებას კი უარს ჰყოფდა ხოლმე და ამით იგი იქამდის მიიყვანა, რომ სოხუმიდამ წავიდა და თბილისის შტაბში ჩაეწერა. ეს ამბავი ყირიმის ომის წინად და მარანცოვის კავკასიიდამ წასვლამდის მოხდა. კოლიუბიაკინი თითქმის ორი წელიწადი უადგილოდ იყო და მხოლოდ 1856 წელს, როდესაც ომარ ფაშა სამეგრელოდამ უკან იწევდა, მთავარ მართებელმა, ღენერალმა მურავიოვმა, ნიკოლოზ პეტრეს ძე ქუთაისის სამხედრო და ქუთაისის გუბერნიის სამოქალაქო გუბერნატორად დანიშნა.

იგი ერთი წლის გუბერნატორი იყო, როდესაც ჩვენ ამ წერილებში ასპარეზზედ გამოვიყვანეთ, და ამ მცირე ხანში იმდენი სასარგებლო რამ გაეკეთებინა თავის გუბერნიაში, რომ მისი სახელი ეხლაც ახსოვთ. გუბერნია, როდესაც მან იგი მიიღო, ყირიმის ომით გაოხრებული იყო. ყოველივე საქმე ომიანობის დროს შეჩერდა, ხარჯმა იმატა, გლეხები განადგურებულნი იყვნენ მტრისა და თავიანთის ბატონებისაგან. ერთის სიტყვით ყველგან არეულ-დარეულობა იყო და კოლიუბიაკინი გულ-მოდგინედ შეუდგა ყოველივე წესისა და რიგისამებრ დაეწყო. იგი ლაგამსა სდებდა თავად-აზნაურების თავ-წასულობას. ერთხელ გურიაში მოგზაურობის დროს მასთან მოვიდენ გლეხები და იჩივლეს ერთს მდიდარს თავად დიმიტრი გურიელზედ, რომელსაც უსამართლობა არა ერთხელ შერჩენოდა. კოლიუბიაკინმა გაგზავნა მასთან თავის ჩინოვნიკი, გაატანა თავის საათი და უბრძანა ეთქვა გურიელისთვის, რომ თუ იგი ორი საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილებდა ყველა მოჩივარებს—გურიიდამ გასახლდებოდა. გურიელმა იცოდა, რომ კოლიუბიაკინთან ხუმრობა არ შეიძლებოდა და ყველანი დააკმაყოფილა. ამისთანა საქმეებისათვის ხალხი მას პატივსა სცემდა და ამბობდა მასზედ: „მან ყოველისფერი იცის, მისი მოტყუება არ შეიძლებაო."

უსამართლობა იქნებოდა გაჩუმებულიყავით იმაზედ, რომ კოლიუბიაკინმა ადგილობრივი ზნე და ჩვეულება შეისწავლა თავის ჩინოვნიკის თავადი რაფიელ დავითის ძის ერისთავის წყალობით, რომელიც ნიჭიერი კაცი არის, დაახლოვებით იცნობს თავის ქვეყანას და მშვენივრად იცის ქართული ენა. იგი ერთსა და იმავე დროს კოლიუბიაკინის თარჯიმანიც იყო და განმმარტებელიც ადგილობრივის მცხოვრებთა ჩვეულებისა. ერისთავი ლიტერატურაშიაც ცნობილია ხევსურებისა და თუშების შესახებ წერილებით, რომელნიც დაიბეჭდენ გაზეთს „კავკაზში" და „კავკასიის გეოგრაფიულს საზოგადოების კრებულში"; ამ ბოლოს დროს სარგებლობა მოუტანა თავის თანამემამულეთ იმით, რომ მშვენივრად გადათარგმნა ქართულს ენაზედ კრილოვის იგავ არაკნი.

გაზაფხულზედ, 1857 წელს, კავკასიაში მთავარ-მმართებლად თავადი ბარიათინსკი მოვიდა. მან მეგობრულად მიიღო ნიკოლოზ პეტრეს ძე, მადლობა გადაუხადა სასარგებლო სამსახურისათვის და ამით ერთი ორად გაამხნევა იგი. იმავე დროს მას გენერალ მაიორობა მისცეს. მხოლოდ ერთი შემთხვევა არ მოეწონა მას, სახელდობრ—ახალი თანამდებობის—ქუთაისის გენერალ-გუბერნატორობის დაარსება, რომელსაც თვითონ იგი უნდა დამორჩილებოდა მაგრამ იმით იცემდა ნუგეშს, რომ ეს თანამდებობა მისცეს გაგარინს, მისგან პატივცემულს კაცს, რომელთანაც მას წინადაც ემსახურნა, როდესაც ქუთაისის ვიცე-გუბერნატორად იყო.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთ. სარამანგის ფირმის პასივი ლონდონში და როსტოვში (დონ-ზე) ჯერ არ იციან.

**როსტოვი-დონზე.** ნავიგაცია გაიმართა; შემოდგომის ფასის შედარებით პურის ფასმა 30% აიწია.

**პარიჟი.** გენერალი ნეგრიე იცნობება, რომ მარტის 11-ს ჩინელებმა იერიში მიიტანეს საფრანგეთის სიმაგრეებზე დონგდანგის მახლობლად, თვით ჩინეთის საზღვართანა; ფრანცუზებიც თავის მხრივ იერიშით მივიდენ იმ დღესვე ჩინელების სიმაგრეებზედ და მეორე დღეს 12-ს, თავ-დასხმა კიდევ განაახლესო; მაგრამ რადგანაც მტრის ჯარი ფრანცუზების ჯარზე ბევრად მეტი იყო, ამიტომ უკანასკნელები უკუ იქცნენ დონგდანგშივეო; ფრანცუზებს 200 კაცი მოუკვდათ და დაეჭრათ.

მარტის 14-ს.

**პეტერბურგი.** სარამანგის ფირმის გაკოტრების გამო აჯერმა და მოსკოვის ბირჟამ ორ მილიონამდე იზარალეს; ზარალი დაეტყო აგრეთვე ზოგიერთ ფირმებს, რომელთაც შავი ზღვით საქონელი გააქვთ.

,,ბირჟის უწყებანი'' ამბობენ, რომ თუმცა სახემწიფო ბანკის გამგებელმა წინადადება მისცა მოსკოვის ბანკების დირექტორებს გაადვილებონ კრედიტი ქარხნებისა და ფაბრიკის პატრონებისათვის, მაგრამ უარი მიიღო; ამის გამო ციმსენი აპირობს მოსთხოვოს 30 მილიონი ფინანსთა მინისტრს, რათა ამით ხელი მოუმართოს ზოგიერთა მოსკოველს ფირმებს.

**ლონდონი.** გლადსტონმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ხალხთა შორებრივი თავდებობა ეგვიპტის სესხისა იმას არა ნიშნავს, ვითომ მოთავდებეთ შეძლოთ ეგვიპტის გამგეობაში ჩარევა, მაგრამ ინგლისი უფრო კარგად შეასრულებს თავის მოვალეობას ეგვიპტის შესახებ, თუ სხვა სახემწიფოებთან თანხმად იმოქმედებს.

ინგლისმა პროტესტი გამოუცხადა საფრანგეთს, რადგან უკანასკნელმა სამხედრო კონტრაბანდად იცნო კანტონის ჩრდილოეთით მდებარე ნავთსადგურებში მიტანილი ბრინჯი.

**სუაკიმი.** გრაამი გუშინ წავიდა იმ სიმაგრეებისკენ, რომელნიც ინგლისელებმა თამაისთან აიღეს, მტერი იერიშით მივიდა ინგლისელებზედ, მაგრამ დიდის ზარალით უკუ აქციეს.

---

## ცნობანი

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 მარტიდამ 1 აპრილამდე 1885 წ.

| | | |
|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა — | —1 გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — | —1 გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი: | | |
| პირველი ხარისხის | —1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა — | —1 გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | 8 კ. |
| მეორისა — | —1 გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 გ. | 9 კ. |
| ღორის ხორცი: | | |
| პირველის ხარისხისა | —1 გ. | |
| მეორისა — | —1 გ. | |

### რკინის გზა

თბილისიდამ ბათუმისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით

თბილისიდამ მარტო ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
10 საათზედ და 45 წამ. დილით.
(სამშაბათობით და შაბათობით საჩქარო 10 ს. 58 წ. ღამ.)

ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.

ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილით.

ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამით.

მარტო ხაშურიდამ მომავალი თბილისში შემოდის
8 საათზედ დილით

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.
(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

---


## განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში

ისყიდება ახლად დაბეჭდილი

### ქართული

### მომრავლი ასოები

შედ. ალექ. მირიანაშვილისაგან.

ფასი ყუთით ერთი მანეთი. ცალკე ფურცლები თითო შაური. (3—3)

## მმათა ჭილაძეების

წიგნისა

და საკანცელიარიო ნივთეულობათა მაღაზიაში

## ქუთაისში

ისყიდება ყოველ გვარი ქართული, რუსული, ფრანცუზული, ბერნძული, ლათინური და სხვა ენების სახელძღვანელონი და აგრეთვე ბელეტრისტიული და სხვა გვარი საკითხავი წიგნები ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

ახლად მიღებულია: ქართული წერის დედნები. ი. ს. ზოგებაშვილის ანბანი და რუსულისა და ქართული წერის რვეულნი.

(10—3)

სამგვარი სიყვარული

მოთხრობა

აკაკი წერეთლისა

(„დროების" რედაქციის გამოცემა.)

ფასი 30 კაპ.

(ვინც ორ ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ერთბაშად, 10% დაეთმობა.)

წიგნი ისყიდება თბილისში გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, შავერდოვის სააგენტოში და ჩარკვიანის მაღაზიაში. ქუთაისში ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ბათუმში, მოსე ნათაძესთან, თელავში, საზოგადოების დეპოში. ერთბაშად ყიდვა შეიძლება აგრეთვე «დროების» რედაქციაშიაც. (10—6)

რამაშკა ბურელისა

საუკეთესო საშუალება აქამომდე ცნობილ საშუალებათა შორის.

უეცრად სწყვეტავს ყოველ-გვარ შინაური მწერს, როგორც მაგ. ჭრიჭინებს, პრუსაკებს, ბაღლინჯოებს, რწყილებს, ჯიანჭველებს, ნამის ჭიებს და სხვ.

იგი მოქმედობს უეცრად,

არ შეიცავს არავითარ კაცის ჯანისათვის მავნებელს ნივთიერებას. რომ არავინ არ მოახერხოს თავად მიითვისოს ამ წამლის გამოგონება, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება გამომგონის ხელის-მოწერას, რომელიც ამ ,,რამაშკა ბურელის'' ყველა კოლოფზეა.

ფასი კოლოფისა 75 კაპ. და 40 კაპ.

ისყიდება ყველა რუსეთის საუკეთესო მაღაზიებში.

უმთავრესი დეპო ამიერ-კავკასიისათვის არის თბილისში ,,კავკასიის საზოგადოება სააფთიაქო საქონლით ვაჭრობისა და მის განყოფილებში ბაქოს. .Ц 19,485

(25—20)

## ПОДПИСКА

**На политическую и литературную газету**

## ВОСТОКЪ

**НА 1885 Г.**

Газета ВОСТОКЪ служитъ органомъ православныхъ восточныхъ народовъ, выходитъ до двухъ разъ въ недѣлю.

**Подписная цѣна:** съ доставкою и пересылкою за годъ 8 руб. за 1/2 года 4 руб. 50 коп. За границу за годъ 10 руб. за 1/2 года 5 руб.

**Подписка принимается:** ВЪ МОСКВѢ, въ редакціи, у малаго камен. моста, Д. Полякова. (10—7)


*Доз. ценз. Тифлисъ, 15 Марта 1885 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომცემელი გ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.